



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID -19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა



2020 წელი



## შესავალი

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში,<sup>1</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიმდინარე 2020 წლის 16 მარტიდან გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე და მომხმარებლებს ელექტრონულად შესთავაზა მომსახურება.

აღნიშნული გამოწვევის წინაშე და ცენტრის მიერ სათანადო მომსახურების შეფასებისათვის გადაწყდა, რომ შეფასებულებით დისტანციურად გაწეული მომსახურების ხარისხი, გამოკვეთილიყო მისი დადებითი, უარყოფითი მხარეები და განვითარების საჭიროებები.

ცენტრის მომხმარებლებს შორის არიან როგორც იურიდიული, ასევე, ფიზიკური პირებიც. ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე, ცენტრს იურიდიული პირების მომსახურება უფრო ხშირად უწევს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების, მომზადება-გადამზადების, საჯარო მოხელის გადამზადების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმართულებით, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში მომსახურება (სხვა არასტანდარტული მომსახურების გარდა) ხდება ძირითადად ხუთი მიმართულებით - საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება; დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარება; ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება; ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

---

<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის – „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ 2020წ. 23 მარტი №181 დადგენილება



## სარჩევი

კვლევის მიზანი და ამოცანა -----	4
კვლევის მეთოდოლოგია -----	4
ანალიზი -----	6
ძირითადი მიგნებები -----	11
რეკომენდაციები -----	13
დანართი -----	15



## კვლევის მიზანი და ამოცანა

### მიზანი

შეფასდეს საქართველოს მთავრობის 2020წ. 23 მარტი №181 დადგენილებით განსაზღვრული COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებით მომხმარებლების კმაყოფილება.

### ამოცანა

- COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების შეფასება, დადებითი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება;
- ცენტრის დისტანციური მომსახურების თაობაზე რეკომენდაცი(ებ)ის შემუშავება.

## კვლევის მეთოდოლოგია

ცენტრში შედგა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები იყვნენ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა კითხვარი, დადგინდა და გამოიკვეთა საკვლევი თემები და სამიზნე ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. იგი შედგება 11 კითხვისგან, ამათგან ორი ღია და ცხრა დახურული კითხვაა.

გამოკითხვა ჩატარდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა ფიზიკური პირების ის კატეგორია, რომლებმაც COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში, კერძოდ 2020 წლის 25 მარტიდან - 29 მაისის ჩათვლით ცენტრის მხრიდან მიიღეს ნებისმიერი ტიპის მომსახურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირებისთვის ცენტრის მიერ გაწეული სტანდარტული მომსახურების სახეობებია:

- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება;
- დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარება;
- ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება;
- ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება;
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.


შესაბამისად, გამოკითხულმა რესპონდენტებმა ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მიმართულებით მიიღეს მომსახურება.

აღნიშნულ პერიოდში, (2020 წლის 25 მარტიდან - 29 მაისის ჩათვლით) მომსახურება მიიღო 1111 მოქალაქემ (ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow-ს მონაცემებით), მათ შორის დისტანციურად info@ege.ge-ს მეშვეობით, ზემოჩამოთვლილი მომსახურებების მოთხოვნით 380 მოქალაქემ ისარგებლა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში 2019 წლის 25 მარტიდან - 29 მაისის ჩათვლით, ცენტრის მომსახურება 2833 მოქალაქემ მიიღო (ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow-ს მონაცემებით). შემცირების დინამიკა, სავარაუდოდ, გამოწვეულია COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობების გამო.



შემუშავებული და ელექტრონულად დამუშავებული კითხვარი რესპონდენტებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნათ. ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე 380 მოქალაქიდან კითხვარი 117-მა მოქალაქემ შეავსო. რესპონდენტებს შორის არიან არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებში მცხოვრები პირები. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, აჭარის, კახეთის, სამეგრელო-ზემო-სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლში მცხოვრებმა პირებმა - 18-65 წლამდე ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა, ხოლო 66+ ასაკობრივ ჯგუფიდან, ცენტრისთვის COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში არავის არ მოუყარათ.

გამოკითხული რესპონდენტების შესახებ მონაცემები მოწმობს, რომ მომსახურება შეაფასეს ძირითადად თბილისში მცხოვრებმა პირებმა, რომელთა რაოდენობა 117 რესპონდენტიდან 50%-ზე მეტია, ხოლო დანარჩენი მონაწილეებისგან დომინანტი და თანაბარი წილი აჭარის, ქვემო ქართლისა და იმერეთში მცხოვრები რესპონდენტებზე გადანაწილდა, ყველაზე მცირე რაოდენობა კი სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთზე მოდის. მონაცემები ასაკობრივი და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემდეგნაირია:







## ანალიზი

კვლევის შერჩეული მეთოდი ისეთი საკითხების გამოკვეთას ეფუძნებოდა, როგორცაა ის, თუ რა სირთულეები ახლდა ელექტრონულ მომსახურებას, რა დადებითი მხარეები გამოვლინდა ამ ტიპის მომსახურებით, რამდენად შესაძლებელია ამგვარი გზით მომხმარებელს მომავალშიც მივაწოდოთ ჩვენი მომსახურება, არის თუ არა შესაძლებელი ცენტრის მიერ რომელიმე სახის მომსახურების მხოლოდ ელექტრონულად ან შერეული სახით მიწოდება.

კითხვაზე: „Covid-19-ის გავრცელებამდე თუ გისარგებლიათ ცენტრის სერვისებით“, ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ პანდემიამდე ცენტრისთვის არ მიუმართავთ.




გამოკითხული რესპონდენტების 39.19% რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ პანდემიამდე ისარგებლეს ცენტრის მომსახურებით, ცენტრში **განცხადების შემოტანის სიმარტივე** „ძალიან რთულად“ და „რთულად“ არც ერთს არ შეუფასებია, ნეიტრალურად აფასებს 14.6%, კარგად აფასებს 24.4%, ხოლო ძალიან კარგად 61%.






კითხვაზე: „როგორ შეაფასებდით Covid-19 პანდემიამდე ცენტრის მიერ გაწეულ მომსახურებას“, პანდემიამდე ცენტრის მიერ გაწეული მომსახურება მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა შეაფასა „ცუდად“ და „ძალიან ცუდად“, „ნეიტრალურად“ აფასებს მხოლოდ სამი რესპონდენტი, ხოლო უმეტესობა აფასებს „კარგად“, ან „ძალიან კარგად“. აღსანიშნავია რომ, პანდემიამდე განაცხადის შემოტანის სიმარტივეზე დადებითი მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მომსახურების გაწევაზე.




კითხვაზე: „რამდენად მარტივი იყო Covid-19 პანდემიის დროს ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვა“, „ცუდად“ და „ძალიან ცუდად“ რამდენიმე რესპონდენტმა შეაფასა, „ნეიტრალურად“ შეაფასა რვა რესპონდენტმა, ხოლო გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა აფასებს „კარგად“ და „ძალიან კარგად“.






კითხვაზე: „Covid-19 პანდემიის დროს, საიდან მიიღეთ ცენტრის მიერ გასაცემი სერვისის შესახებ ინფორმაცია“, ამ კითხვაზე პასუხები გამოკითხული რესპონდენტებისთვის ასარჩევი იყო შემდეგი მონაცემებიდან: ცენტრის ქოლცენტრისგან, ცენტრის ვებგვერდიდან, ნაცნობ-მეგობრების საშუალებით, ცენტრის ელექტრონული ფოსტით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან, ასევე სოციალური ქსელიდან. ჩამონათვალიდან ლიდერობს პირველი ორი საშუალება - ქოლცენტრი - 54%-მდე და ვებგვერდი - 33%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სოციალური ქსელიდან ინფორმაციის მიღებაზე - გამოკითხული რესპონდენტების 5%-მა მიიღო.



კითხვაზე: „რამდენად გასაგები იყო ცენტრის მიერ თქვენთვის მოწოდებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია“, ცენტრის მიერ გაცემული ინფორმაცია რამდენიმე რესპონდენტისთვის იყო ბუნდოვანი და სრულიად ბუნდოვანი, ერთი რესპონდენტისთვის იყო მეტ-ნაკლებად გასაგები, ხოლო გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობისთვის იყო გასაგები და სრულიად გასაგები.








კითხვის შემთხვევაში, რომელიც გულისხმობდა **Covid-19** პანდემიის დროს რა იყო მარტივი და რა რთული შემდეგი მონაცემები მივიღეთ:

- **ინფორმაციის მიღება** - მარტივი აღმოჩნდა გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობისთვის, ნეიტრალურად აფასებს ნახევარზე ნაკლები და რთული აღმოჩნდა რამდენიმე რესპონდენტისთვის.
- **ცენტრში დოკუმენტაციის წარდგენა** - მარტივი აღმოჩნდა უმეტესობისთვის, ნეიტრალურად აფასებს ნახევარზე ნაკლები და რთული იყო რამდენიმე რესპონდენტისთვის.
- **მზა დოკუმენტის მიღება** - მარტივი აღმოჩნდა გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობისთვის, ნეიტრალურად აფასებს ნახევარზე ნაკლები და რთული აღმოჩნდა რამდენიმე რესპონდენტისთვის.





კითხვარში გათვალისწინებული ბოლო ორი, ღია კითხვის შედეგად, რომელიც ეხებოდა დამატებითი ინფორმაციის მიღებას, გამოიკვეთა შემდეგი:

**„თუ ცენტრთან თანამშრომლობის დროს, სხვა რამე სახის დაბრკოლება/სირთულე შეგექმნათ გთხოვთ გაგვიზიაროთ“:**

მე-10 ღია კითხვა 117 რესპონდენტიდან შეავსო 33 რესპონდენტმა, უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას, კერძოდ აღნიშნავენ, რომ არანაირი გართულება არ შექმნიათ და მადლობას უხდებიან ცენტრს გაწეული მუშაობისთვის. დანარჩენი რესპონდენტების მოსაზრებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ერთი რესპონდენტი, რომელიც თავის გვარს და სახელსაც ასახელებს, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ცენტრმა არ უღიარა უცხოეთში მიღებული განათლება და ჩივილს აპირებს;
- ორი რესპონდენტი ფიქრობს, რომ საქმისწარმოებას დიდი დრო ეთმობა;
- ორი რესპონდენტი გაუჭირდა ცენტრის ადგილმდებარეობის დადგენა;
- ორი რესპონდენტი აქვს პრეტენზია, რომ ცენტრმა დოკუმენტების უცხო ენაზე თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება მოსთხოვა, რასაც მთავრობის დადგენილება არ ითვალისწინებდა;
- ერთი რესპონდენტი კი ითხოვს საქმისწარმოების შესახებ პერიოდულად ინფორმაციის მიწოდებას.

მე-11 ღია კითხვაზე 117 რესპონდენტიდან 31 რესპონდენტმა შეავსო, უმრავლესობა კი გამოხატავს კმაყოფილებას, კერძოდ, თხოვნაზე: **„გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება, დაკვირვება, ან გაგვიზიაროთ ცენტრთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რათა ჩვენ გავაუმჯობესოთ ცენტრის მუშაობა“**, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ერთი რესპონდენტის აზრით კარგი იქნებოდა ყველა საჭირო ინფორმაცია ვებგვერდზე ყოფილიყო განთავსებული, რათა არ უწევდეთ ცხელ ხაზზე დარეკვა;
- ერთი რესპონდენტი უკმაყოფილების მიზეზად ასახელებს იმას, რომ განათლების ცენტრალურ არქივში სათანადოდ არ იყო გადამოწმებული ინფორმაცია;
- ერთი რესპონდენტი თვლის, რომ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს;
- ერთი რესპონდენტის სურვილია შემცირდეს საქმისწარმოების ვადები;
- ერთი რესპონდენტი თვლის, რომ სასურველია განაცხადის ფორმები ივსებოდეს ელექტრონულად და არ იყოს მისი ამობეჭდვა და ხელით შევსება საჭირო;
- ერთი რესპონდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს ყოველწლიურად მომსახურების საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით;
- დანარჩენი რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ცენტრის მუშაობით და ზოგიერთი მათგანი ცენტრს ურჩევს, რომ მომავალშიც დისტანციურად განაგრძოს მომსახურების მიწოდება.



## ძირითადი მიგნებები

კვლევის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ტენდენცია შემდეგნაირია - კითხვები ქრონოლოგიურად მისდევს მომსახურების პროცესს - განცხადების შემოტანას, მომსახურების გაწევასა და პროცედურების დაცვას. ამათგან, პირველი ორი კითხვის შემთხვევა ეხება COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობების პერიოდამდე მიღებულ მომსახურებას. კერძოდ, 117 რესპონდენტიდან, მხოლოდ 45 რესპონდენტს აქვს Covid-19-მდე მიღებული ცენტრის მომსახურება და მათი უმრავლესობა „განცხადების შემოტანასა“ და „მომსახურების გაწევას“ აფასებს „ძალიან კარგად“. ამათგან, „მომსახურების გაწევის“ შეფასება „ძალიან კარგად“, „განაცხადის შემოტანასთან“ შედარებით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს. ორივე კითხვის შეფასების შემთხვევაში „კარგი“ თანაბარი (24%) მაჩვენებელია.

მესამე კითხვა, რომელიც ეხება COVID-19 გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პირობებში მომსახურებას და რომელ შემთხვევაშიც რესპონდენტების რაოდენობა ორნახევარჯერ მეტია (117), ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურები „ძალიან კარგად“ (43%) და „კარგად“ (48%) დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეაფასეს, ხოლო „ნეიტრალურად“ შეფასების მაჩვენებელი განახევრებულია, ვიდრე ეს წინა ორ კითხვაში იყო.

ცენტრის მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქოლცენტრისა და ვებგვერდის გამოყენებაზე დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები სხვა საშუალებებზეა განაწილებული. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სოციალური ქსელის გამოყენებაზე დაფიქსირდა.

ინფორმაციის მიღების, დოკუმენტაციის ცენტრში წარდგენისა და მზა დოკუმენტის მიღების მომსახურებებში ყველაზე მაღალი, დადებითი მაჩვენებელი გამოიკვეთა „ინფორმაციის მიღების“ შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ მიღებული ინფორმაცია გასაგები იყო 84%-სთვის, ხოლო 90%-მა ინფორმაცია მიიღო მარტივად.

ღია კითხვებში მოსაზრების ასახვის მაჩვენებელი რესპონდენტების დაახლოებით მესამედია. მოსაზრებებში ისეთი საკითხები დაფიქსირდა, რომლებიც სცდება უშუალოდ ცენტრის კომპეტენციას, რადგან ეს საკითხები კანონმდებლობით რეგულირდება. მაგალითად - უკმაყოფილება ადმინისტრაციული წარმოების ვადებზე, უარის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე. ამავე დროს, ღია კითხვაში გამოვლინდა ინფორმაციის მიღების საშუალებად ვებგვერდის გამოყენება, უფრო გასაგები და ხელმისაწვდომობის მოთხოვნის კონტექსტში. აღნიშნული ხაზს უსვამს ცენტრში საქმიანობისას ვებგვერდის მნიშვნელოვნებას.



## დანართი

### კითხვარი - 1 – „COVID-19 პანდემიის დროს ცენტრის მომსახურების კმაყოფილების კვლევა“

მოგესალმებით, Covid-19 პანდემიის გამო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე და ყველანაირ მომსახურებას აწარმოებდა დისტანციურად. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ცენტრი ატარებს გამოკითხვას. გთხოვთ, შეძლებისდაგვარად, უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

#### 1. საცხოვრებელი ადგილი

- თბილისი
- მცხეთა-მთიანეთი
- აფხაზეთი
- გურია
- იმერეთი
- აჭარა
- კახეთი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
- სამეგრელო - ზემო სვანეთი
- სამცხე-ჯავახეთი
- ქვემო ქართლი
- შიდა ქართლი

#### 2. რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებით?

- 18-30
- 31-50
- 51-65
- 66+

#### 3. Covid-19-ის გავრცელებამდე თუ გისარგებლიათ ცენტრის სერვისებით?

- დიახ, ვისარგებლე
- არა, არ მისარგებლია



4. რამდენად მარტივი იყო Covid-19 პანდემიამდე განცხადების შეტანა ცენტრში?

*1-ძალიან რთული, 2-რთული, 3-საშუალოდ, 4-მარტივი, 5-ძალიან მარტივი.*

- 1
- 2
- 3
- 4
- 5

5. როგორ შეაფასებდით Covid-19-მდე ცენტრის მიერ გაწეულ მომსახურებას?

*1 - ძალიან ცუდი, 2-ცუდი, 3- საშუალო, 4- კარგი, 5-ძალიან კარგი.*

- 1
- 2
- 3
- 4
- 5

6. რამდენად მარტივი იყო Covid-19 პანდემიის დროს ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვა?

*1-ძალიან რთული, 2-რთული, 3-საშუალოდ, 4-მარტივი, 5-ძალიან მარტივი*

- 1
- 2
- 3
- 4
- 5

7. Covid-19 პანდემიის დროს, საიდან მიიღეთ ცენტრის მიერ გასაცემი სერვისის შესახებ ინფორმაცია?

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდიდან
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქოლ-ცენტრისგან
- სოციალური ქსელიდან
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ფოსტიდან
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან
- ნაცნობი/მეგობარი



8. რამდენად გასაგები იყო ცენტრის მიერ თქვენთვის მოწოდებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია?

1 - სრულიად ბუნდოვანი, 2-ბუნდოვანი, 3-მეტ-ნაკლებად გასაგები, 4-გასაგები, 5 - სრულიად გასაგები.

- 1
- 2
- 3
- 4
- 5

9. გთხოვთ, მონიშნოთ Covid-19 პანდემიის დროს რა იყო მარტივი და რთული?

	მარტივი	ნეიტრალური	რთული
ინფორმაციის მიღება	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
მზა დოკუმენტის მიღება	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

10. თუ ცენტრთან თანამშრომლობის დროს სხვა რამე სახის დაბრკოლება/სირთულე შეგექმნათ გთხოვთ, გაგვიზიაროთ

11. გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება, დაკვირვება, ან გაგვიზიაროთ ცენტრთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რათა ჩვენ გავაუმჯობესოთ ცენტრის მუშაობა